დასაქმების ფორუმი თსუ-ში

5 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელშიც შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა უწყებებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. კომპანიის წარმომადგენლებმა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ საქმიანობა, კომპანიაში დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობები გააცნეს.

ფორუმზე წარმოდგენილი იყო 70-ზე მეტი დამსაქმებელი საჯარო და კერძო სექტორიდან.

ნიაბის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

19 მაისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ნიაბის საირიგაციო სისტემის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებულია მაგისტრალური არხის სრული რეაბილიტაცია საერთო სიგრძით 14 კილომეტრი და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, კასპის მუნიციპალიტეტის 6 სოფლის მოსახლეობას აღუდგება საირიგაციო მომსახურება 500 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე.

2012 წლიდან შიდა ქართლის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 44 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი რეგიონში 19 690 ჰექტრამდეა გაზრდილი.

უანგარო დონორთა აქცია - "გაიღე სისხლი, გადაურჩინე სიცოცხლე"

29 მაისი

„საქართველოს მელიორაციის" თანამშრომლებმა ორგანიზაცია "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" საქველმოქმედო აქციაში - „გაიღე სისხლი, გადაურჩინე სიცოცხლე" მიიღეს მონაწილეობა. "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური" ერთ-ერთი წამყვანი სისხლის ბანკია საქართველოში, რომელიც დონორული სისხლისგან სისხლის კომპონენტების დამზადებას და თბილისის კლინიკების სისხლით მომარაგებას უზრუნველყოფს.

სისხლის დონაცია უსაფრთხო პროცესია. გარდა რეციპიენტისა, სარგებელს სისხლის დონორიც იღებს, რადგან სისხლის გაცემის პროცესი სისხლში ახალი უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს, რის შედეგად სისხლი ახალგაზრდავდება. „საქართველოს მელიორაცია" უანგარო დონორთა აქციას მეხუთედ შეუერთდა. კომპანიის თანამშრომლები მომავალშიც უანგაროდ გაიღებენ სისხლს განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.

ლაგოდეხის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

10 ივნისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლაგოდეხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში რკინა-ბეტონით მოპირკეთდება მაგისტრალური არხის 500 მეტრიანი მონაკვეთი. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშოების დასრულების შემდეგ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 300 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება წყლით უზრუნველყოფის რეჟიმი.

სამუშოები, რომლის ღირებულებაც 100 000 ლარს შეადგენს 2017 წელს დასრულდება.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო სისტემების 41 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წ ყ ა ლ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 15 400 ჰექტრამდეა გაზრდილი.

დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სამეგრელოში

16 ივნისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელი პირველი მაისის დამშრობი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 კილომეტრიან სადრენაჟე არხს. ნატანი მასისგან გაიწმინდა კოლექტორი და შემკრები არხები, მოეწყობა მილხიდები.
სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფელი პირველი მაისის 223 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე აღდგება სადრენაჟე მომსახურება.
მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, არჩილ ბუკიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი, რომლის ღირებულება 100 000 ლარს შეადგენს, მიმდინარე წელს დასრულდება.
2012 წლიდან დღემდე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 26 სარეაბილიტაციო პროექტი. გაიწმინდა და მოწესრიგდა 500 კილომეტრამე სადრენაჟე არხი. შედეგად, რეგიონში დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 19 000 ჰა-მდე გაიზარდა.

დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სამეგრელოში

23 ივნისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სენაკის მუნიციპალიტეტში, ცივა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივზე ახალსოფლის დამშრობი სისტემის 50 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დაასრულა. პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა ახალი მილხიდები, შეკეთდა გადასასვლელი ხიდები, ნატანი მასისგან გაიწმინდა კოლექტორები და შემკრები არხები. შედეგად სოფელი ახალსოფლის 691 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე აღდგა სადრენაჟე მომსახურება. აღნიშნული სისტემის რეაბილიტაცია 2 ათეული წელზე მეტია არ ჩატარებულა. 2012 წლიდან დღემდე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 26 სარეაბილიტაციო პროექტი . გაიწმინდა და მოწესრიგდა 500 კილომეტრამე სადრენაჟე არხი. შედეგად, რეგიონში დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 19 000 ჰა-მდე გაიზარდა.